

საქსაქონლო გაზეთი

12

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 198.

შაბათი, 1 იანვარი 1911 წ.

დამატების № 34



წამო, დედას გოჭინავი მოვკაროთ! -- ნახატი ვ. ვუნიშინა.



დედა. — ნახტი სილარიოსი.

მაშ, ნულარ მეტყვიტ!

ნაწყვეტი „შეგების თავიდან“

მე ჩემი გზა მაქვს, თქვენთვის ძველი დამილოცნია,
 ჩემის ღვთისათვის ხელნი თრთოლვით დამიკოცნია!
 ვიცი, მომელის მწარე ტანჯვა და დაბრკოლება,
 ისიც ვიცი, რომ მოშხამულა თქვენგნით ცხოვრება,—
 და განა ამით შეაფერხებთ ქეშმარიტებას?
 ან და—დაახმოთ ღვთაებრივსა, მადლის დიდებას?
 ვინ გააღმერთეთ?!—უვიცი და ბილწი მასხარა!
 დეარძლი დაგემყნოთ, მან ნაყოფი თვისი ახარა!
 მაშ, ნულარ მეტყვიტ: ეს ასეა და არა—ისე!
 ველარ გარდავსტქვამ, რაც კი ერთხელ ღრმად შევითვისე!

**

მე გრიგალი ვარ და თქვენ პირში როგორ მათურთხებთ?
 ჩემდამი მოძღვნილს სიბინძურეს უკან გიბრუნებთ!
 იქით ვესწრაფვი, სად ოცნების არის სამთაგრო,
 სად ია-ვარდათ მოქარგულა ტურფა სამყარო!
 და განისვენებს ღაცხო აღვილს მხოლოდ რჩეული,
 იქ ვერ ივარგებს თქვენებრ ბებლი, მონა-გრძნეული!
 ახალ გზას ვიკვლევ და მინათებს ჩემივ ლამპარი,
 ის გამომყვება, რომელს უღირს ძვირად ჩაძარი!
 რა ვლყოთ, ჯერ გზა თუ მრუდღა და ეკლიანი,
 ღნდა სრულ იქმნეს, კანიწმინდოს ადამიანი!
 ღრუბლების იქით სხივქსოვილა ჩემი მიზანი,
 იქით მიმიწვევს ჰანგი ცისა, კეთილხმიანი!
 მაშ, ნულარ მეტყვიტ: ეს ასეა და არა—ისე!
 ველარ გარდავსტქვამ, რაც კი ერთხელ ღრმად შევითვისე!

**

თვით ჩემი ღოცვა სულის სიღრმეს არს ჩამარხული,
 მულამ საამო, სიხარულითან შეთანხმებული.
 თავის-და ნებით დაიტყვევებს ნახ ბუნებოვანს,
 გამოძახილით აამღერებს სხვა ნაცნობ მგოსანს!
 ჩემი სატრფოა უკვდავება და სილამაზე,
 გეშვიდე ზეცას მნათობია იგი მზეთა-მზე!
 თქვენ ამ სამეფოს ვერ მისწვდებით, ვერც ეღირსებით,
 დარჩით ქაობში, ჩაიკალით მუნ სული სნებით!
 მაშ ნულარ მეტყვიტ: ეს ასეა და არა—ისე!
 ველარ გარდავსტქვამ, რაც კი ერთხელ ღრმად შევითვისე!

თქვენ სხეულს მოჰკლავთ, სული სკოცოვს, მარად უკვდავი.
 ღრმად სიყვარული ჩაექსოვა, ღაღად მკოლავი.
 დღეს თუ ტყვედ გყვეართ, გელღობნო, მაქადოთ, სიკვდილს,—
 ქედს არ მოგიხრით, იერ ვ გაიგებთ თქვენ ჩემგან ჩვილს
 ვიცი,—ეს მხოლოდ სიზმარია და წარსვლა,
 ზეცა მომიხმობს და მომელის სხვა მოჰვალა!
 მაშ, ნულარ მეტყვიტ: ეს ასეა და არა—ისე!
 ველარ გარდავსტქვამ, რაც კი ერთხელ ღრმად შევითვისე!

ა. შანშიაშვილი.



**

ოცნებით შევქმენ ტურფა ტაძარი
 და შიგ აღვანთე ცეცხლი ღვთიური,
 მის ზღუდეთ შორის გაისმის მარად
 მკვენსარე ჩანგის ჰანგი ცაური!..
 მოშორებით სდგას ამა სოფლისა,
 მშფოთარე სულის ნავთსაყუდარი,
 და მისკენ მიჰქრის, ვით ღრუბელთ გუნდი,
 ქვეყნის ტანჯვის ხმა, გლოვა და ზარი.
 იმა ტაძარსა ვერვინ მისწვდება,
 მიუკარებელ არის კაცთათვის,
 ჟამთა პრძოლაში ის ანაყად სდგას
 ადამიანთა ტყვეთა ხსნილათვის.
 ქურუმად ვსდგევიარ სამსხვერპლო ცეცხლთან
 სიმებში ვაწნავ ჩემს გულის თქმასა,
 სამარადისო კვენსა-ვაებას
 ტაძრის კედლები აძლევენ ხმასა!..
 როცა ზარს დაჰკვრენ ცისა კიდურზე,
 ზარს განთიადის გოდებისასა,
 ცეცხლი ლაპლაპებს, მსხვერპლი იწირვის,
 ჩანგიც აელერებს ჰიმნს სევდისასა!..
 მე შევქმენ იგი წმინდა ტაძარი,
 მე ავაქლერე ჩანგი ცაური,
 სამსხვერპლოდ დავსდე გული, ზვარაკად
 სულისა ღტოლვა ტიტანიური!..
 შორს, შორს! ნუ სცილიობ, ადამიანო,
 მისწვდე მას ძალით და დაანგრიო,
 რომ მის ნანგრევზე მგოსანმა სევდით
 განთიადისას ცრემლი ვაფრქვიო!
 ახლად ვიშევი, გარდვიქმენ სულით,
 ვაკვენსებ სიმებს აღფრთოვნებული,
 ოცნებით პრწყინავს მყუდრო სავანე,
 ტაძარი მშვენნი და დიდებული?!..

ა. სვანთელი.



1911 წელს

შენი შენთაგან, შენდა შემწირველი...

ახალის ვნებით ვიმოსები ყოყელ ახალ წელს,
 ახალს გოლგოთას ვეგებებო, ვეთხოვები ძველს...
 მე რომ სიყვარულს ვლადადებდი, რა იქნა ისა!
 წყვილიადის მეფეს ვინ შესწირა სიმღერა მზისა?
 ვინ შემოიქრა ჩემს ტაძარში,—წარბტაცა ცეცხლი...
 წამების ჯვართან ვინ დასტოვა იუდას ვერცხლი!
 თუ ჩემს ოცნებას,—სათუთ ყვავილს,—ტაოდა წაჰლევავს,
 მყისვე ცა,—მიწის დასამხოხად,—ზარს ჩამოჰრეკავს,
 ახალის სიტყვით აღქურვილი მოვალ,—ვიქნები...
 ახალ სიცოცხლედ იშვებთან ჩემი ფიქრები.

ბაბილინა.



ბანთიანი. — ქანდაკება ე. ა. ბანზოსი.

ს ი მ ლ ე რ ა

უვაილებით შუბლს შეგიშვებ,
 მკერდს ჩაგიბნევ თაიგულსა,
 ტანს მოგახვევ ტურფა ღიერს,
 შინს სხივებით მოქარგულსა...
 საგოგმანოდ მოგთავაზებ
 ვარსკვლავთ წყებას, განამწყვრივებს,
 პირფარეშად არ მოგაკლებ
 ბადრის მთვარის გრძნეულ სხივებს...
 ღრუბლის ტახტზე ღმერთად დაგვამ,
 განთაღსა გამსახურებ,
 ნექტარს გასმევ, უკვდავების
 წყაროს თმაზე მოგაპკურებ...
 ცის და ქვეყნის ჰარმონიას
 აგიმღერებ—შენივე შვილი,
 ოღონდ დედი, გაიღვიძე,
 ნუ ხარ მონა, კმარა ძილა!..

კიკნა—ფშაველა.

მ რ ი ს ი ზ მ ა რ ი

I

ვნახე სიზმარი: ვით ღამის ბინდი
 ჩემთან მოიჭერ, ჩამოირბინე,
 ჩემს ლალის ტუჩებს მსწრაფლ ჩააფრინდი
 და,—ვნებით სავსემ,—ვნებით ჩაჰკბინე;
 კოცნით მომიძღვენ მსუბუქი რული,
 ჩემსა გულ-მკერდზე უვაილებს ჰკრები,—
 გამომეღვიძა... და,—ბედით კრული,—
 სულ ვიცინოდი, სულ ვხითხითებდი.

II

ვნახე სიზმარი: ვით სიო ნელი
 ყელს შემოგეჭდე რიფრაქზე აღრე,
 კოცნით დაგახრჩე, და ბროლის ყელი

ხვეენა-ალერსში მსწრაფლ გამოგლადრე;
 მოჰყვდი... და მკვდარი ვერ შეგითვისე,
 ოცნებით საფლავს მიგაქანებდი,—
 გამომეღვიძა, და ისევ ისე
 სულ ვიცინოდი, სულ ვხითხითებდი.

ი. გრიშაშვილი,

ახალი ქვეყანა

მე აღმოვაჩინე ახალ ტანჯკათ ახალ სამეფოს,
 იქ გაიგონებთ ახალ სევდის ახალ ჰანგებსა,
 იქ დაინახავთ სანახავსა დიდ საგანგებოს,
 იქ შეუღლებით ახალ სევდათ ახალ ტანჯვესა.
 იქ ავიშენებთ ახალ ტაძარს, გასაკვირველსა,
 მის წინ აღაპყრობთ მოწიწებით მონურსა ხელსა,
 იქ იგრძნობთ სიტკბოს, ნეტარებას და თვით ნაღველსა,
 იქ გაიხარებთ, იქვე დაძღვრით მწუხარე ცრემლსა.
 თქვენს გულს გააპრობს სამარადო ტანჯვა და ღებნა,
 იქ სიხარული და თვით ტანჯვა შეგიყვარდებათ,
 ორივე ერთად განუყრელი გექნებათ თქვენა,
 თუ ერთს მოისმენთ, მაშინ ორთავ დაგეკარგებათ.
 იქ სიხარული მწუხარების გვირგვინს დაგადგავთ,
 ახლო იქნებით სამოთხესთან, მაგრამ ვერ ჰნახავთ.
 იგი ქვეყანა ძველ ქვეყანას ემჯობინება..
 იქ მეც ვიმონებ—სიყვარული მეფედ იქნება!

ი. მჭედლიშვილი.

„ღამითაჲ მიწაჲ“

ახალწლის დილითაც ისევ ისე მხიარული იყო ნიკოლოზ
 დავითის ძე, როგორც ყოველთვის, თუმცა გვიან დაბრუნდა
 კლუბიდან, დილით, აღრიან გააღვიძა ბავშვების ჟრია-
 მულმა. არ აცალეს ტკბილი ძილი, თბილ ლოგინში, მაგ-
 რამ, ის მაინც არ გაჯავრდა. რაკი ძილი გაუკრთა, წამოდ-
 გა, ფლოსტებში ფეხი წაჭყო, დილის ხალათი წამოისხა და
 თმა აჩჩილი შევიდა ცოლის ოთახში.

ღამითაჲ ტასო აღრიანვე მოკაზმულიყო, ეხლა მხო-
 ლოდ კულულებს ისწორებდა სარკის წინ.

— კიდევ ამდგარხარ, კოლა? მოგიკვდეს ტასიკო, არ
 დაგაძინეს ყმაწვილებმა?—მიეგება ქმარს.

— არა უშავსრა, გამოვიძინებ! — მიუგო ნიკოლოზმა
 და ეამბორა შუბლზე. ესეთი ქცევა კანონად ჰქონდათ დად-
 ბული. მეტ სიყვარულს მოასწავებდა. ამბორის დროს
 „ჰუღრას“ ფიფქი მიეკრა ტუჩზე და ხალათის სახელოთი
 მოიწმინდა.

— ერთი დინახე, გეთაყვა, რა ყოფა აქვთ ყმაწვი-
 ლებს. ღამის თავდა-ყირა გადააბრუნონ სახალწლო სტალი
 —უთხრა ქმარს და სახელოში ხელ ჩავლებული მისწია კარე-
 ბისკენ.

— დავინახე, დავინახე... გეთაყვა, ერთი უბრძანე,
 აბანო გაახურონ, ერთი ვანა მივიღო ამ დილით, რაღაც და-
 ძეგილი ვარ...

— ყველაფერი მზად არის, ჩემო სულიკო!
 დიდი ხანია გელოდება ცხელი ვანა...

— ოჰოო... ჰაჰ კარგი... ყოჩაღ, ტასიკო, ყოჩაღ:
 — მე ვიცოდი, რომ დაღლილი დაბრუნდებოდი ჩემო
 სიცოცხლე!—დაიგრინა წელში...

— ნიკოჯან! რა იფიქრე იმის შესახებ გუშინ რომ
 გახზოვე?

— რა? არ მახსოვს...
 — საყურე... ძლიერ მინდა ვიყილო, ძლიერ. ის საყუ-
 რე თუ არ გავიკეთე ვერ მოვისვენებ.

— აბა, ეხლა რაღა იქნება, ჩემო სიცოცხლე და უქ-
 მეებს შემდეგ, როგორც მაღაზიები გაიღება, იყიდე...

— ფული?...—შეეკითხა ტასო და, თითქოს ბავშვივით,
 ისეთი გამომეტყველება მიიღო.

— ოთხნოცი თუმანი მოვიტანე წუხელის.

— შენ შემოგვეღი... სულ მოიგე? სულ კარტში?

— სულ!—გაეღიმა ნიკოს.

— მაშ, იმედი მაქვს, კნენისას ბაღს აღარ დავაკლდე. ზვლადე 'მგულდები კაბის სამზადისს, ხომ ნიკო-ჯან?! ხომ, ჩემო სიცოცხლე, ხომ, ხომ, დღეა!..— ხელი წაავლო ხალათის კალთებში, მკლავებში და რაც ძალი ჰქონდა ანჯღღევდა ამ მუცლიან კაცს. უკოცნიდა სახეს, თმებს, კისერს. მაგრამ, ფრახილად-კი, რომ ოქროს ფერ თმის ქვემოდან, დეტანებული სქელი სარჩული არ დანგრეოდა, და არ ჩამოსცივენოდა მეუღლის თვალ წინ, არარატის ოდენა, დაკერებული „პრიჩოსკა“.

— კარგა, ქალო, ნუ დამამტვრიე, კარგი! მხოლოდ მთლად ნუ გაჰფლანგავ ფულებს, შეიდ იანვარს, კატიუშას მასწავლებელს ოცი თუმანი უნდა მივცეთ.

— ოხ, ოჩენ ნუენო... დიკადოს რა, დიდი საქმეა? იმას „კლიენტის“ ფული მიეცი!— მოიღრუბლა ცუგრუმელა დედა—მართლა, უნდა მეკითხა, იმათი საქმე როგორ არის, ოცდა ორში რომ იცავდი?

— მამასახლისის მკვლელობაზე?

— ჰო, ჰი...

— ეჰ, დაღრჩობა გადაუწყვიტეს.— ჩაიქნია ნიკომ ხელი.

— ახ...— ჩაიკვნიტა ტუჩები, სახეზე შეწუხება გამოეხატა ჩქარა ისევე გადაეყარა ბურუსი და მხიარულად ჰკითხა:

— ფულები რა საკვირველია?

— რა თქმა უნდა, ავიღე.

— საწყალი იმისი დედა... როგორც იხვეწებოდა, სჩანდა ძალზე ღარიბი იყო. შეიცოდა ქალმა.

— სულელები... ასი თუმანი დამითვალეს ხელზე

საქმე-კი, წავიდა...

— საწყლები...

— რას იზამ... მოიკებ, თუ წააგებ, ვეჭილი ფულს ვერ დაუბრუნებს კლიენტს.

— შტოშ... რა!.. შიმშილით ხომ არ დაფრთხილდები?.. მაშ იმ ფულით, მეგელნი მალაზია გაისტუმრე?..

— გავისტუმრე...

ნაზი ცოლი ერთხელ კიდევ მიჰვარდა, დაუკოცნა ქმარს თვალბე, ერთი კიდევ შეტრიალდა სარკის წინ და ნელს რხევით გასწია სასადილოსკენ.

II.

ათის ნახევარ საათზე, მთელი ოჯახი დილის საუზმეს მოსხდომოდა. ნაფიცი ვეჭილი ნიკოლოზ დავითის ძე სუფრის თავში იყო გამოქიმული, შავი თმა ლამაზად გადაეწარცხნა, თეთრი ხელთახოცის წვერი საყელოში გაემაგრებია, თეთრი ჟილეტი დაემალა რომ არ დასვროდა საქმლის წამცეცით და მსუქან ბატის ბარკალს გულიანად შეექცეოდა: მარცხნივ მხარეს უმწვენებდა მწვენიერი ცოლი, დედას გვერდით ეჯდა ათის წლის კატო, მარჯვნივ—გიმნაზიელი ვაჟი მიშა, სუფრის მეორე თავში მსუქანი ძიძა ცხრა თვის ყმაწვილით. სვამდნენ, სჭამდნენ, მხიარულობდნენ.

მინელელები სამოვარინელა შიშინებდა. ვებეერთელა შობის ხე ზღაპრულ სანახავობით მორთულ-მოკმაზული ჯეირანივით იყო წამოქიმული. აღმოსავლეთით, მაცხოვრის ხატი ესვენა: მიმზიდველი სხის იესო, თლილ ქვაზე ჩამომჯდარი, ღრმად ჩაფიქრებული მისჩერებია ნიკოლოზს თვალებში მისი უსამზღვრო, შორს მხედველი თვალები ეუბნებინ ადამიანს: „მე ვიტანჯე, ვიტანჯე დაჩაგრულის ჩემის ძმისათვის. მცნებად დაგიღე მოყვასის სიყვარული, დეფნულის შეწყნარება უძლურის შეწყალება, ხალხის სამსახური... შენ კაცობა აღარ მაკმარე... ღმერთად მიწამე მაგრამ, მცნება ჩემი-კი, ტალახით გაჰსვარე, შე უმადურო.“

ნიკო ვერა ჰგრძნობდა, ჯვარს ცრემლის ცქერას დაარხინად შეექცეოდა მსუქან ბატის ხორცს. მკრთალი კანდელი ნელა ლაპლაპებდა ხატის წინ. გარედ-კი, თოვლდა, თოვლდა დაუსრულებლივ.

3. გარიყული,



მეცნიერული ბრძოლა.



ისტ-ენდში (ინგლისი) მომხდარ ექსპროპრიაციის თაობაზე სამართალში მიცემული რუს კემშერდომნი: ოსიკ ფედლორევი, ოკონ ბებტრა და იურიდიუზოვი.